ნიშანდობლივია, რომ როგორც ჩვენი ქვეყნის, განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციაში, ისე საქართველოს კონსტიტუციის პროექტში შეტანილია სპეციალური თავი „სოციალური განვითარება და კულტურა“, რომელიც როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძველს ახასიათებს.

ამ თავის 25-ე და 27-ე მუხლები მოიცავს ადამიანის ჰარმონიული სრულყოფის ყველა მხარეს და კიდევ ერთხელ ნათელყოფს კომუნისტური პარტიის მზრუნველობასა და გამახვილებულ ყურადღებას იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი ამაღლდეს კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დონემდე.

ეს ზრუნვა და ყურადღება პარტიის პოლიტიკა და პრაქტიკაა, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა დაუდო.

დეპუტატებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანისა და მისი მრავალმხრივი განვითარების პრობლემებს. ამ დეგიზითა და ნიშნით ჩატარდა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა.

ეთიკური თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, უმნიშვნელოვანესი ადამიანური თვალსაზრისია. იგი მოითხოვს ადამიანის განხილვას უმაღლეს მიზნად და უმთავრეს ღირებულებად. ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი კომუნისტური იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ყველა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — პარტიის პროგრამა და საბჭოთა კონსტიტუცია. პარტია გვასწავლიდა, რომ, თუ ბურჟუაზიული საზოგადოების ღირებულებითი კერპია კაპიტალი, ხოლო ადამიანი ფაქტიურად არის საშუალება და იარაღი „კაპიტალის დაგროვებისათვის, ჩვენი საზოგადოება თავდაყირა აყენებს ასეთ ბურჟუაზიულ ღირებულებათა ორიენტაციას: ჩვენთვის ადამიანია უმაღლესი მიზანი, ყველაზე ძვირფასი კაპიტალი, ხოლო ყველაფერი დანარჩენი განიხილება ადამიანის კეთილდღეობის საშუალებად და იარაღად. ეს არის ის რეალური, მებრძოლი, რეგოლუციური **ჰუმანიზმი,** რომელიც მარქსიზმმა კომუნიზმის არსად და აკენტესენციად მიიჩნია.

მარქსისტული ჰუმანიზმის ეს პრინციპი მსჯელაეს ახალი კონსტიტუციის პროექტის ყოველ მუხლს და ყოველ დებულებას. ჰუმანიზმის რეალური დამკვიდრების დონე და მასშტაბი, როგორც ცნობილია, ასახავს და გამოხატავს ხალხისა და ქვეყნის კულტურული ეროვნული ურთიერთობის დონეს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ზნეობრივი კულტურა, მისი მორალური კეთილშობილება ადეკვატურად არის ასახული ახალ კონსტიტუციაში, იგი ფიქსირებულია როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა და ისტორიული მოგება ხალხის სულიერი აღორძინების გზაზე.

ჰუმანიზმი რომ ადამიანისათვის ზრუნვა, მისი დაფასება და პატივისცემაა — ეს ყველაზე კარგად ვლინდება ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების ცხოველმყოფლობაში. სწორედ ინტერნაციონალიზმია მარქსისტული ეთიკური მსოფლგაგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რაც წითელ ზოლად გასდევს კონსტიტუციის პროექტის ყოველ მუხლსა და ყოველ დებულებას.

ინტერნაციონალიზმი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უმაღლესი მიღწევაა და მას თვალსაჩინოთ უნდა გავუფრთხილდეთ.

მაგრამ ჰუმანიზმითა და ინტერნაციონალიზმით არ ამოიწურება ახალი **კონსტიტუციის ეთიკურ-პოლიტიკური ასპექტი.** თუ ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცნებებში მთავარი და გადამწყვეტი იყო თანასწორობა და სამართლიანობა, ამ ღირებულებათა ჰარმონიული შეზამებისა და სინთეზის ორგანიზაციული პრინციპია დემოკრატიზმი. საამაყოა იმის შეგნება, რომ ჩვენი კონსტიტუციის პროექტს, საბჭოთა კონსტიტუციის მაგალითისამებრ, თვით ბოლომდე გასდევს გაღრმავებული და გაფართოებული დემოკრატიზმის სულისკვეთება. ამასთანავე კონსტიტუცია საქვეყნოდ აღიარებს დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას.

საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი სპეციფიკა ის არის, რომ იგი ყველაზე პროგრესული კლასების — მშრომელებისა და მთელი ხალხის ძალაუფლების გამოხატულებაა.

ჩვენი დემოკრატია პრაქტიკული შრომითი შედეგებით აფასებს მოქალაქეთა ღვაწლს, დამსახურებას, რაც საფუძვლად ედება მათი შრომის მატერიალურ ანაზღაურებას და მორალურ დაფასებას. მაგრამ ყველა სხვა დემოკრატიისაგან განსხვავებით საბჭოთა დემოკრატია ადამიანის პიროვნულ ღირსებას ზომავს არა მარტო მისი შრომის შედეგების მიხედვით, არამედ მისი საზოგადოებრივ მოტივაციებისა და მორალური შეგნების მიხედვითაც, ჩვენი ზნეობის თვალსაზრისით ერთნაირი პიროვნული ღირსება და ადამიანური თავმოყვარეობა აქვს ყველას, ვინც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას საზოგადოებრივ წინაშე და აკეთებს იმის, რაც მას შეუძლია.

IV.

პარტიის ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“ — ნათელ ხელმესაზებ გამოხატულებას პოულობს კონსტიტუციის იმ მუხლებში, რომლებშიც გამოკვეთილია სახელმწიფოსა და პიროვნების კონსტიტუციური ურთიერთობა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კონსტიტუციაში გამოცხადებულია ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე, ყველა ეროვნებისა და რასის თანასწორობა, ხორცშესხმულია ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია რესპუბლიკის მოქალაქეებს ანიჭებს განვითარებულ სოციალიზმამდე ისტორიაში არნახულ უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს.

საკონსტიტუციო კომისია ითვალისწინებდა, რომ უფლებები, თავისუფლებანი და მოვალეობანი დიალექტიკურ კავშირშია.

არ არსებობს უფლებები მოვალეობის გარეშე და მოვალეობა — უფლების გარეშე. არსებობს შრომის უფლება, მაგრამ შრომა იმავე დროს მოვალეობაც არის. იგივე ითქმის სხვა უფლებებსა და მოვალეობებზე. ისინი ერთმანეთისაგან არ არის იზოლირებული, განცალკევებული, მოწყვეტილი. უფლება და მოვალეობა ქმნის ერთიან სინთეზს.

ამავე დროს კონსტიტუცია გამორიცხავს უფლება-მოვალეობათა გამოყენებას სახელმწიფოს, საზოგადოებისა და სხვა პიროვნებათა საზიანოდ.

როგორია მოქალაქეთა უფლებამოვალეობების სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტში?

უპირველეს ყოვლისა **სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ.** კონსტიტუცია ანიჭებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, სიბერის, ავადმყოფობის, შრომის უნარისა და მარჩენალის დაკარგვის გამო მატერიალური უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლებას.

კონსტიტუცია რესპუბლიკის მოქალაქეებისაგან აკისრებს შემდეგ სოციალურ-ეკონომიკურ მოვალეობებს: იშრომოს კეთილსინდისიერად, გაუფრთხილდეს და აამაღლოს სოციალისტური საკუთრება, დაიცვას ბუნებრივი სიმდიდრე.

როგორია ამ უფლება-მოვალეობათა გარანტიის საფუძველი? კონსტიტუცია გარანტიის საფუძვლად აცხადებს **წარმოების სოციალისტურ წესს.**

ეს ერთი.

მეორე. რა უფლებანი და მოვალეობანი აქვთ რესპუბლიკის მოქალაქეებს საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით კულტურის დარგში?

განათლების, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება, შემოქმედების თავისუფლება.

და ამავე დროს ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაიცვას კულტურული ღირებულებანი, კულტურის საუნჯე.

მესამე, რესპუბლიკის კონსტიტუცია, ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, ანიჭებს ყოველ მოქალაქეს ისეთ **პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს,** როგორიც არის სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება, სახელმწიფო ორგანოებში წინადადებათა შეტანისა და ნაკლოვანებათა კრიტიკის უფლება, სიტყვის, კრებებისა და დემონსტრაციების თავისუფლება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება.

ამავე დროს კონსტიტუცია მოქალაქეებისაგან მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესების დაცვას, მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის ამაღლებას, საშობლოს დაცვას და შეიარაღებულ ძალებში სამსახურს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელმეწყობას.

მეოთხე. რესპუბლიკის კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს **ისეთ პირად უფლებებსა და თავისუფლებებს,** როგორიც არის ოჯახის სახელმწიფოებრივი დაცვა, პიროვნების, საცხოვრებლის, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მიმოწერის, ტელეფონითა და ტელეგრაფით სარგებლობის საიდუმლოს დაცვა, ადამიანური ღირსების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლების და პირადი ქონების სასამართლო წესით დაცვა.

საბჭოთა სახელმწიფო მოვალეა დაიცვას მოქალაქეთა პირადი უფლებები და თავისუფლებანი.

მეხუთე. რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა დაიცვას სსრ კავშირის კონსტიტუცია, საბჭოთა კანონები, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, მშობლები მოვალენი არიან იზრუნონ ბავშვების აღზრდისათვის, შვილები — თავიანთი მშობლებისათვის.

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის ინტერნაციონალური კონსტიტუციური ვალია ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ქვეყნების, მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

V.

კონსტიტუციაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წყობას.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია ხელმძღვანელობს სსრ კავშირის საერთო საკავშირო ინტერესებისა და თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესების შეზამების პრინციპებით.

რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა განიხილავს როგორც სუვერენულ სახელმწიფოებრივ ერთეულ, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის, ხალხთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისა და სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა წინათ ჩაგრული ერების პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ე. ი. ცალკე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის უფლების პრაქტიკული განხორციელება. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეროვნული სახელმწიფოს აშენების გარეშე არ არსებობს გზა ერების ნებაყოფლობითი დაახლოებისა და ძმური კავშირისაკენ.

ერთა თვითგამორკვევის მარქსისტულ-ლენინურმა ლოზუნგმა თავისი პრაქტიკული განხორციელება სწორედ ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში პოვა. ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ოთხი ძირითადი ფორმა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ავტონომიური ოკრუგი.

1921-1922 წლებში საქართველოს სსრ შემადგენლობაში შეიქმნა სამი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეული: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს სსრ მოიცავს ყველაზე მეტ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფოებრიობა — ეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების რეალობაა. კონსტიტუციური სახელმწიფოებრიობა საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, კანონმდებლობითი და ადმინისტრაციული ფუნქციები სსრ კავშირის და რესპუბლიკის კონსტიტუციების ჩარჩოებში. დაეგეგმვის, წარმოების, გასაღების, კულტურის, განათლების დარგებში რესპუბლიკა გვევლინება როგორც სუვერენული, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ახორციელებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ კულტურულ და სხვა სახელმწიფოებრივ ფუნქციათა სრულ კიკლს.

სახელმწიფოებრიობა ამავე დროს არ უნდა ჩაითვალოს რაღაც თვითმიზნურ, განყენებულ ცნებად. იგი უფრო საშუალებაა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლისა.

ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის მაგალითის მიხედვით დღენიადაგ ვიზრუნოთ რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიურ ფორმირებათა ბედზე, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ცნობილია, თუ როგორი მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის მიერ ამ მხრივ გაწეულ მუშაობას. საქმით უნდა გავამართლოთ ეს შეფასება.

ჩვენი რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმა-გრეხილ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფო მეექანიზმის ბუნებაზე და თანამდებობის პირთა ცოდნასა და უნარზე, მათს პოლიტიკურ და საქმიან თვისებებზე.

საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშია, როცა თანამდებობის დაკავებისათვის იბრძვის და ზოგჯერ ამას კიდეევაც ახერხებს ადამიანი, რომელსაც არც ცოდნა და ნიჭი, არც საამისო ავტორიტეტი და უნარი არ გააჩნია.

ჩვენს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა სწორად შერჩევისა და დაწინაურების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას პრტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად უკანასკნელ პერიოდში თანამდებობის პირთა შერჩევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკრეთ წოდებულ რეკომენდაციებს, რომლებიც ემყარება თანამდებობაზე დასანიშნ პირთა ობიექტურ შეფასებას.

სახელმწიფო ზოგადი ცნებაა, მისი რთული მექანიზმის შეუფერებელ მუშაობას უზრუნველყოფენ ადამიანები. თანამდებობის პირებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მოქალაქეებმა მთლიანად და სრულყოფილად ისარგებლონ იმ სკეთით, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ადუთქვამს მათ. სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მოქალაქეთა ვალდებულებების შესრულების ხმაურალებრივი ფორმები ძალიან კარგად არის დამუშავებული ჩვენში, მაგრამ უფრო უკეთესად უნდა დამუშავდეს საბჭოთა მოქალაქეების უფლებების განხორციელების ეფექტიანი სამართლებრივი ფორმები.

საყოველთაოდ ცნობილი ის დიდი საზოგადოებრივი ძვრები, ის დიდი სასიკეთო გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებათა შესაბამისად.

მიზანდასახული, თანმიმდევრული და პრინციპული ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს რესპუბლიკაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლში, თავის შესანიშნავ გამოხატულებას პოულობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში.

VI.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვაში, რომელშაც ორ კვირაზე მეტ ხანს გასტანა, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 3 მილიონმა მოქალაქემ ანუ პრაქტიკულად საქართველოს სს რესპუბლიკის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ.

ჭშრომელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს რესპუბლიკის ძირითადი კანონისადმი და კრებებზე ერთსულოვნად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ადასტურებს, რომ ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ ამ მუხლის შესახებ, ბევრი ვითათბირეთ; არა ერთი და ორი საკულისმო წინადადება შემოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლთა შორის, ჩვენ შევისწავლეთ საზოგადოებრივი აზრი სტუდენტობაში, საერთოდ ახალგაზრდობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკონსულტაციო კომისია, ხელმძღვანელობენ რა მემკვიდრეობითობის პრინციპით და გამოდიოდნენ რა ჩვენი საზოგადოებისა და კონსტიტუციის დემოკრატიული ბუნებიდან, ამ სესიისათვის მზადების პერიოდში, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების გათვალისწინებით მივიღეს იმ დასკვნამდე, რომ მზანშეწონილია შევინარჩუნოთ მოქმედი კონსტიტუციის ცნობილი ფორმულირება, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებს.

ვფიქრობთ, ამაში მხარს დაგვჭერს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

როცა ასეთი წინადადება შევიმუშავეთ, მხედველობაში გვქონდა ის ფაქტიც, რომ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება ჩვენს საკონსტიტუციო პრაქტიკაში დამკვიდრებულია ჯერ კიდევ 1922 წლიდან, საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების დროიდან.

ამასთან ერთად ჩვენ, როგორც ეს უკვე ჩამოყალიბდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის პრაქტიკაში, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ხალხის, ყველა ერის, ყველა ენის, თანასწორობა, თანასწორუფლებიანობა, როგორც ამას ვ. ი. ლენინი მოითხოვდა. მზრუნველი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ ებზაური ენისადმი, ოსური ენისადმი, იმ ენებისადმი, რომლებსაც იყენებენ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები: სომხები, აზერბაიჯანელები და ა. შ.

კვლავ უნდა ვუთხრათ ჩვენს მშობელ ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას, დედაენის შესწავლასთან ერთად, მშობლიური ენის პატივისცემასთან ერთად, მის დაუფლებასთან ერთად, თუ ჩვენ გვინდა მუდამ გავდიოდეთ დიდ სინათლეზე, თუ ჩვენ გვინდა დავეუფლოთ მეცნიერების მიღწევებს, დაკავშირებული ვიყოთ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციასთან, აუცილებელია კვლავაც და კვლავაც პატივს ვცემდეთ, ვსწავლობდეთ დიდი რუსი ხალხის შესანიშნავ და მდიდარ ენას, რუსულ ენას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო კომისიამ მიიჩნია, რომ 75-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

პირველ ყოვლისა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ცხადდება ქართული ენა.

შემდეგ ამისა, უნდა განვითარდეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი დებულებით იმის შესახებ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

და ბოლოს. საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებთაც მოსახლეობა სარგებლობს. იგულისხმება, რომ რაიმე შეზღუდვა ამა თუ იმ ენის მიმართ არ დაიშვება.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების საკონსტიტუციო კომისიისეული შეფასებების სისწორეს აადასტურებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს სპეციალური საინტერესო გამოკვლევები, რომლებიც თვით განხილვის პროცესში ჩატარდა.

რესპუბლიკის პირობებში პირველად მოეწყო კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით. ამ გამოკვლევებმა გვიჩვენეს საზოგადოებრივი აზრის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკით შესწავლის დიდი მნიშვნელობა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის მასებში კონსტიტუციის დებულებათა ბრძოლებიდან მშრომელთა მასების პოლიტიკური მობილიზაციის საქმეში.

ამხანაგო დეპუტატებო!

დღეევანდელი დღე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღების წინადღეა. ხვალიდან იგი იწყებს ცხოვრებას და მუშაობას ხალხის, რესპუბლიკის, ქვეყნის, კომუნიზმის საკეთილდღეოდ. მაგრამ კონსტიტუცია, თუმცა იგი დიდად პატივსაცემი და სათაყვანებელი დოკუმენტია, ავტომატურად რიდი მოქმედებს. იმისათვის, რომ რესპუბლიკის ძირითადი კანონის ყოველი მუხლი და დებულება ხორცშესხმული და სისხლსავსე აღმოჩნდეს, ცოცხალ პრაქტიკას ემსახურებოდეს, საკადაღებო ენერგიას ყველა ყველასათვისა და თითოეულისათვის, საჭიროა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ყოველი მოქალაქის ცდა და მონდომება, დიდი და მრავალმხრივი ღონისძიებანი.

ხვალიდან საქართველოს ყოველი მოქალაქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეკანედან უნდა იქცეს მოწოდება: იყავ ერთგული შენი პარტიისა, იყავ ერთგული შენი დიდი და ძლეველი საბჭოთა ქვეყნისა, მისი კონსტიტუციისა, რომელიც ფუძეა ყველა ხალხის, ყველა რესპუბლიკის კეთილდღეობისა, ეცადე საბჭოთა საქართველოს წვლილის ადიდება დიდი სამშობლოს ეკონომიკურ, შეცნიერულ და კულტურულ პოტენციალში. იყავ ერთგული შენი რესპუბლიკის კონსტიტუციისა, ამრავლე საქართველოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, ასახელე სამშობლო შენი!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტში ნათქვამია:

კომუნიზმის მზე დაგვნათის
კაშკაშა, მოელვარეო,
იდიდე მრავალჟამიერ
ჩემო სამშობლო მხარეო!

დიე, ჩვენმა თავადდებულმა შრომამ პარტიის საკეთილდღეოდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ კიდევ უფრო ალაყაფოს და განავითაროს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ჩვენი სათაყვანებელი მიწა-წყალი, საბჭოთა საქართველო!

დიდება საბჭოთა საქართველოს და მის სახელოვან მშრომელებს!

გაუმარჯოს საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ხალხთა ლენინურ მეგობრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით!

გელოდ ჩვენს სპექტაკლებზე

ქუთაისის საოპერო თეატრის გასტროლები თბილისში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალს გაისად დეკემბერში არსებობის ათი წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე თეატრმა 23 სხვადასხვა სპექტაკლი — ოპერა და ბალეტი წარმოადგინა. თავდაპირველად, ცხადია, იყო სიძნელეები. თეატრს არ ჰყავდა სოლისტები, ორკესტრანტები, მაჯრამ თანდათან ეს საქმეც მოწესრიგდა. დღესასთვის თეატრს 32 სოლისტი ჰყავს, გუნდში 50, ხოლო ორკესტრში 60 მუსიკოსია. თანამშრომელთა რიცხვი 350-მდე კაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბალეტის დასის საქმე ჯერ მოუგვარებელია ადგილების ნაკლებობის გამო. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ კულტურის სამინისტროს, ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და თბილისის ოპერის თეატრის დახმარებით ეს საქმეც მალე გამოსწორდება.

მკვეთრად ამაღლდა ქუთაისის თეატრის დონე. ამ ბოლო 4-5 წლის მანძილზე თეატრში სამუშაოდ მოვიდნენ მთავარი დირიჟორი რ. ხურცილავა, მთავარი რეჟისორი ვ. ნიკოლაძე, მთავარი მხატვარი თ. არსენიძე, რომლებმაც დირიჟორებთან თ. კობახიძესთან, ვ. ჭუმბურიძესთან, ქორმეისტერებთან ა. მაჭავარიანთან, ო. თოფურიძესთან, ქორეოგრაფ ე. გუმბერიძესთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესეს თეატრის მუშაობა, რა თქმა უნდა დიდია ქალაქის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერის და დახმარების როლიც.

გადრმავდა შემოქმედებითი კონტაქტები თბილისის ოპერის თეატრის ცნობილ მოღვაწეებთან. ქუთაისში ახალგაზრდა მომღერლებთან კონსულტაციისათვის ხშირად ჩამოდიან ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, მათთან ერთად მონაწილეობენ კიდეც სპექტაკლებში. ჩვენს სპექტაკლებში ხშირად გამოდიან ხოლმე აკრეთვე თ. მუშკუდიანი, თ. გურგენიძე, ნ. გოცირიძე, ნ. ნადიბაიძე, ჭინტურია, ჯოხთაბერიძე და სხვები.

დღეს ქუთაისის საოპერო თეატრს უკვე თავისი დამოუკიდებელი სახე აქვს. ფართო ყურადღების საგანი გახდა ჩვენი დადგმები „რიგოლეტო“. „ტოსკა“. „ახალგაზრდა გვარდია“ და სხვ. მაგრამ თეატრი განსაკუთრებით ამაყობს თავისი პირმშოთი — გ. ჩლაიძის ახალი ქართული ოპერა „დარისპანის გასაჭირით“. ოპერის შექმნის იდეა თეატრის მთავარ რეჟისორს ვ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. მანვე დაწერა ლიბრეტო, მასვე ეკუთვნის მხატვრობაც და დადგმაც. ჩვენი თეატრისათვის დიდი პატივია, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე 19 აპრილს სწორედ „დარისპანის გასაჭირი“ იქნება წარმოდგენილი თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე.

თეატრის შემოქმედებითს გეგმებში ძირითადია ქართული ეროვნული მუსიკის პოპულარიზაცია და განვითარება. თეატრს რეპერტუარში აქვს ქართული ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ქეთო და კოტე“, „ბაში-აჩუკი“, „დარეჯან ცბიერი“, „წითელქუდა“, „ბროლის ქოში“; მზადდება „დაუპატიჟებელი სტუმრები“.

კვირას, 16 აპრილს, ქუთაისის საოპერო თეატრი გასტროლებს იწყებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. საგასტროლო რეპერტუარშია „რიგოლეტო“ (რეჟისორი — გ. გაჩეჩილაძე, მხატვარი — ი. ასკერავა), „ტოსკა“ (რეჟისორი — ვ. ნიკოლაძე, მხატვარი — ნ. გაფრინდაშვილი), „ახალგაზრდა გვარდია“ (სამივე სპექტაკლის დირიჟორია რ. ხურცილავა), „დარისპანის გასაჭირი“ (დირიჟორი — თ. ჭუმბურიძე). თეატრი მოელვარებით ეხვეწება შეხვედრას თბილისელ მაყურებლებთან. მობრძანდით ჩვენს სპექტაკლებზე!

გ. ტორონჯაძე,
თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.



ჯ. შმიდტის გამოსვლა

ბონი, 13 აპრილი (საკდესი). დღეს ბუნდესტაგში მთავრობის განცხადება გაკეთა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა, რომელმაც დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მაისის დამდეგს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ჰ. შმიდტმა განაცხადა: საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტი მიმაჩნია იმ ფაქტის დადასტურებად, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებას. მე მოველი, თქვა ჰ. შმიდტმა, აზრთა კონსტრუქციულ გაზიარებას არა მარტო ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის, არამედ ევროპაში დაძაბულობის შენელების საკითხებსა და მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე. კანცლერმა აღნიშნა, რომ მისი ღრმა რწმენით, აზრთა ასეთი გაზიარება ხელს შეუწყობს იმ ორმხრივი სურვილის შემდგომ დოკუმენტურად დამკვიდრებას, რომ განაგრძონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებას.

აშკარა მონაგმანი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გასულ კვირას სოფლში სკადეს მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც, მოგადოშოდან მოსული ცნობების თანახმად, ოფიცერთა ჯგუფმა დაიპრო. გადატრიალების ცდა ჩაახშეს არმიის ნაწილებმა და სატანკო ქვეგანაყოფებმა.

დასავლეთის პრესის ზოგიერთი ორგანო ავრცელებს აშკარა ჭორს, თითქოს ამ მოვლენასთან რაიმე კავშირი ჰქონდეთ საბჭოთა კავშირსა და კუბას. ამ ბოროტული მონაჩმახის მიზანი ცხადია—გაამწვავონ ისედაც დაძაბული ვითარება ამ რაიონში. (საკდესი).

გამართლება არა აქვს

ვაშინგტონი, 13 აპრილი (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა საბოლოდაათიანი წლების დამდეგიდან ისრაელს მიაწოდეს დაახლოებით 22 ათასი კასეტიანი ბომბი, რომლებიც ისრაელის ჯარებმა გამოიყენეს ლიბანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. ტელ-ავივის მიერ ასეთი სამიში იარაღის გამოყენებამ, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველად იხმარა ვიეტნამის ომის დროს, მსოფლიო საზოგადოებრიობის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

კასეტიანი ბომბი კონტეინერია, რომელიც სავსეა უამრავი პატარა ბომბით. მაგალ თითოეული თავის მხრივ სავსეა ასობით ფოლადის ნამსხვრევით.

ისრაელისათვის კასეტიანი ბომბების მიწოდება ვანაპირობა მისმა „იმ დაპირებამ“, რომ გამოიყენებდა მხოლოდ „სამხედრო ობიექტების“ წინააღმდეგ და იმ შემთხვევაში, თუ „ისრაელს თავს დაესხმებოდა ერთ სახელმწიფოზე მეტი“. მაგრამ სამხრეთ ლიბანში აგრესიის დროს ისრაელის ავიაციამ ასეთი ბომბები დაუშინა მშვიდობიან სოფლებსა და პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა, რომ ლიბანში ამ საზარელი იარაღის გამოყენება არღვევს ამერიკა-ისრაელის შესაბამის შეთანხმებას. მაგრამ, ვაშინგტონი გარდა „თხოვნისა“, რომ „უფრო ძაცარად შეზღუდონ კასეტიანი ბომბების გამოყენება, არავითარი ნაბიჯის გადადგმას არ აპირებს. ნავარაუდევია ტელ-ავივს კვლავ მიაწოდონ ეს იარაღი.

მსოფლიო დღეს

საქართველოს მხატვართა სიტყვა

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმით დაიწყო „მხატვრის კვირეული“, რომელიც წელს ეძღვნება მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმის მე-60 წლისთავს და მიმდინარეობს დევიზით „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“.

პლენუმის გახსნისას საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ აღნიშნა, რომ მონუმენტური ხელოვნება საბჭოეთის ზრუნვის საგანი გახდა მისი არსებობის პირველი დღეებიდან. 1918 წლის 12 აპრილს გამოქვეყნებული დეკრეტი მონუმენტური ხელოვნების საშუალებებით პროლეტარული რევოლუციის იდეების პროპაგანდის შესახებ დღემდე საპროგრამო დოკუმენტია საბჭოთა ხელოვნების ყველა ოსტატისათვის, და დღეს იმის მკაფიო ნიმუშია, თუ როგორ ზრუნავდნენ პარტია და დიდი ლენინი საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის. ამ დეკრეტის მე-60 წლისთავი დაემთხვა ჩვენი ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას — საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის ფართო განხილვას.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში გრანდიოზული ძვრების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების დღევანდელი დონეც.

მოხსენება „მონუმენტური პროპაგანდის მე-60 წლისთავი და ქართული საბჭოთა ხელოვნება“ პლენუმზე გაკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გ. ხუციშვილმა.

სახვითი ხელოვნების ოსტატებმა თ. მგოცაძემ, ნ. მეძმარიაშვილმა, ლ. მხეიძემ, გ. ოჩიაურმა და სხვებმა ილაპარაკეს ქართული მონუმენტური სახვითი ხელოვნების განვითარების გზებზე, მის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე.

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა მხატვრის კვირეულისადმი მიძღვნილი საქართველოს მხატვართა ნამუშევრების „საგაზაფხულო გამოფენა“. გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ.

კოლეგიებს გამოფენის გახსნა მიუღია საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანმა რ. თორნდიამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა რ. ჯავრიშვილმა, სურათებს გალერეის დირექტორმა მ. ყიფიანმა და სხვებმა.

„საგაზაფხულო გამოფენაზე“ წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, გამოყენებითი ხელოვნების 200-ზე მეტი ნამუშევარი.

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ა. საკაკოვის ფოტო.

„ᲨᲐᲢᲘᲚᲘ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

დღითიდღე მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი თბილისი. მაღლა მიიწევს ხარაჩოები, ახალი სიცოცხლე ისადგურებს ქალაქის ძველად მისადგომ, ჯერ დაუსახლებელ მიდამოებში.

ნუცუბიძის ქუჩის ზემოთ მდებარე მაღლობს მშენებლები ესტუმრნენ... ძველი საფიქრელი იყო, რომ ეს ფერდობები, რომელთა ქანობი 30-35 გრადუსს აღწევს, საცხოვრებელ ტერიტორიად გამოდგებოდა. მოსახლეობის ასეთ ფერდობებზე აყვანა ხომ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

მაგრამ ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების განაშენიანების მეტად რთული პრობლემა დიდი ფიქრისა და კამათის შემდეგ საინტერესოდ და ერეველად გადაწყვიტა „თბილქალაქპროექტის“ მეშვიდე სახელოსნომ — რესპუბლიკის დამსახურებულმა არქიტექტორმა, საკავშირო მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატმა ოთ. კალანდარიშვილმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არქიტექტორმა გ. ფოცხიშვილმა. პროექტის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სახელოსნოს ახალგაზრდა არქიტექტორებმა და გამოცდილმა ინჟინრებმა.

„თანამედროვე კომპლექსი შატილი“ — ასე ჰქვია ამ პროექტს.

რას გვეუბნება ამ სახელწოდების შინაარსი? ამის შესახებ გვესაუბრა არქიტექტორი ოთ. კალანდარიშვილი:

ცნობილია, რომ ხევსურეთში შატილის კოშკები ურთიერთდაკავშირებული იყო გადასასვლელი ხიდებით, რომლებსაც მეხოვრებნი თავდაცვის მიზნით იყენებდნენ, მშვიდობიან პერიოდში კი სამეზობლოდ ხმაურობდნენ. არქიტექტორებმა სწორედ ეს ხალხური პრინციპი დაუდეს საფუძვლად თავიანთ პროექტს, გამამდიდრეს იგი ტექნიკის თანამედროვე მიღწევებით, მშენებლობის ახალი მეთოდებით და შექმნეს ეგრეთწოდებული „თანამედროვე შატილის“ სახე. აი, როგორ წარმოვადგენთ იგი:

სამი თექვსმეტსართულიანი კოშკი ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთგვარი საცალფეხო ხიდებით. ამ სამთაგან პირველი კოშკი უშუალოდ ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარეობს. მასში მოთავსებული ოთხი დიდი ლიფტი ნუცუბიძის ქუჩის შენობის მეთექვსმეტე სართულთან დაკავშირებს. ამ ლიფტიდან გამოსული მოქალაქეები მოხვდებიან საცალფეხო ხიდთან, რომელიც გადებულია მომდევნო ორ სახლს შორის, ამით მოსახლეობა გადავა ფერდობის უმაღლეს ბაქანზე, სადაც საცხოვრებელი სახლების მთელი კომპლექსია განლაგებული.

იქვე განსაზღვრულია კულტურისა და საყოფაცხოვრებო მოძსახურების ობიექტების მშენებლობა. აქ იქნება სკოლა, სპორტული ბაღი, გამოწვანდება ტერიტორია და 40 ჰექტარ ფერდობზე სიცოცხლე აჩქეფდეა.

„შატილის“ პირველი კორპუსის აგება მალე დამთავრდება, ფანაორენი ორი კორპუსის მშენებლობა წლეულს უნდა დაიწყოს და გაისად გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ასე დასრულდება ამიდან პირველი მიკრორაიონის მშენებლობა და სატრანსპორტო პრობლემაც გადაიჭრება. ამით საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენთან ხორცი შეეხმება ფერდობების ათვისების სანუკვარ სურვილს.

მთიანი რელიეფის ათვისების ამ საინტერესო მეთოდით დაინტერესდნენ როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის სპეციალისტები. ქართველი არქიტექტორების აზრის გასაზიარებლად ისინი თბილისს ეწვივნენ, სახალხნში ეკი სგანგებო თათბირი გაიმართა ამ საკითხზე, სადაც უზენეს პროექტი „შატილი“.

ეს პროექტი არა მარტო ლამაზი და თავისებურია, არამედ იგი მოსახლეობისათვისაც მოსახერხებელია — შენობები ერთმანეთს არ ეფარება; ხალხს არ შეაწუხებს ტრანსპორტის ხმაური, ზაფხულში ჭალათან შედარებით ფერდობებზე შესამჩნევად გრილა, ფანჯრებიდან იშლება მშვენიერი ხედი. და, რაც მთავარია, ბიკოლაიერს აქვს საინტერესო ერთიანი მხატვრული სახე, თავიდან არის აცილებული განაშენიანების სტანდარტულობა. ოცი ათასზე მეტი თბილისელი დასახლდება ნუცუბიძის ფერდობებზე.

კვლავაც ემატოს ახალმშენებლობები ჩვენს დედაქალაქს!

ლ. ქინქლაძე.

საბჭოთა არმია აღზრდის სკოლა

შვილი ᲮᲐᲠᲨᲘ მსახურობს

თბილისი. ლილი და დავით მაისურაძეებს



სარდლობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები გატყობინებენ, რომ თქვენი ვაჟი რაშაზ მაისურაძე ღირსეულად ასრულებს თქვენს მშობლიურ დარიგებას, ძალ-ღონის დაუზოგავად და მუყაითად ეუფლება იარაღსა და ტექნიკას, აქტიურად მონაწილეობს ქვეგანაყოფის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისთვის დამახასიათებელია მაღალი დისციპლინა, შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა.

გულითად მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ ჩვენი საძშობლოს ასეთი საიმედო დამცველი აღზარდეთ. გულწრფელად გისურვებთ შრომაში წარმატებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

თქვენ უფლება გაქვთ ჩვენთან ერთად იამაყოთ თქვენი ვაჟით — ჩვენი საყვარელი სამშობლოს ერთგული დამცველით.

უდიდესი პატივისცემით
სამხედრო ნაწილის მეთაური
ᲙᲐᲛᲘᲜᲙᲘ.

თბილისი. თამარ და შალვა ვეფხვიშვილებს

მშობლებისათვის ადა რა უნდა იყოს იმაზე უფრო სასახარული, თუ არა შვილის წარმატება. ნათქვამია, კარგად აღზრდილი შვილი უზრუნველყოფილი სიბერეაო. და აი, მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი გივი ყოველგვარ ქებას იმსახურებს. მან ნაწილში საერთო სიყვარული დაიმსახურა, პატიოსანი და დისციპლინიანი მებრძოლია, ყოველთვის უნაკლოდ ასრულებს დავალებებს, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენმა ნაწილმა წარმატებით შეასრულა საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება. ამ მიღწევებში თქვენი შვილის წვლილიც არის, რომელმაც არა ერთი წამახალისებელი ჯილდო დაიმსახურა.

სამხედრო ნაწილის მეთაური — Ბ. ᲞᲘᲠᲘᲚᲔᲒᲘᲫᲘ, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში — Დ. ᲛᲘᲠᲝᲨᲜᲘᲙᲘ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲒᲖᲔ

ᲚᲘᲝᲜ - ᲞᲐᲘᲜᲘᲡ...

დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი 69 დიდოსტატის და ოსტატის მონაწილეობით. იგი მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად.

დიდოსტატი პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), რომელსაც 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულა ჰქონდა, ბოლო სამ შეხვედრაში ყაიმებს დასჯერდა. ამით ისარგებლა დიდოსტატმა ლარსენმა (დანია) და ბოლო ტურში გამარჯვების შემდეგ ნახევარი ქულით გასწრო მეტოქეს. ლარსენმა 9 პარტიაში 7,5 ქულა მოგაგროვა, პოლუგაევსკიმ — 7, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა (სსრ კავშირი) — 6 ქულა.

ᲚᲕᲝᲕᲨᲘ,..

მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მეექვსე ტურში გულკო ერთადერთი იყო, რომელმაც „მთელი ქულა“ მოიპოვა — სავონი დაამარცხა. ბალაშოვ-ტუკმაკოვი და კოჩიევ-ბელიავსკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები ნადაიდო.

6 ტურის შემდეგ 4 ქულით წინ არის ბალაშოვი. ვაჰახიანს 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გულკოს — 3,5 მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სმისლოვსა და კუზმინს — 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქში დაიწყო დიდი საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც ნონა გაფრინდაშვილი ძონაწილეობს. გაფრინდაშვილმა პირველი ტურის პარტია ა. გიპსლისთან (სსრ კავშირი) ყაიმით დაამთავრა, მეორე ტურში მოუგო მ. მარიანოვიჩს (იუგოსლავია), ძესამეში — ანდრეს (გფრ). ნონას 3 ტურის შემდეგ 2,5 ქულა აქვს და ტურნირს ლიდერობს.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ დიდოსტატები უ. ანდერსონი (ძვეცია), ა. ფაინაგო (უნგრეთი), რ. კინი (ინგლისი), საერთაშორისო ოსტატი ს. ტატაი (იტალია) და სხვები.

ᲡᲝᲩᲘ...

ᲞᲐᲒᲐᲜᲘᲡ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ორწრიან ტურნირში ხუთი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით მოუპოვებენ ბოსკოელი ს. დოლმატოვი და ივანოვიელი ა. ხარიტონოვი. თბილისელ ზ. აბაშიფარაშვილსა და ფრუნზელ ლ. იურტაევს 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ჩამენ უკვე ვიუწყებოდით ქუთაისის „ტორპედოსა“ და იაროსლავლის „შინიკის“ თორის 1 ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის თორიგი, მეორე ტურის მატჩის შესახებ. გთავაზობთ ამ ტურის დანარჩენ მეხვედრათა შედეგებსაც: ასკ (დონის როსტოვი)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 4:2, „ტავრია“ (სიმფეროპოლი)-„დინამო“ (მინსკი) — 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)-„ავანგარდი“ (ვიენიუსი) — 0:0, „თერგი“ (გროზნო)-„აუზბასი“ (ტაშკენტი) — 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)-„ურალ-ცაში“ (სვერდლოვსკი) — 3:1, „პამირი“ (დუშანბე)- „ჭრილია სოფეტოვი“ (აუზბეკეთი) — 2:1, „კოლხოზჩი“ (ანდიჯანი)-„ყუბანი“ (კრასნოდარი) — 1:2.

ᲐᲕᲘᲪᲔᲚᲘ

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 15-20 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, დაბლობ რაიონებში 16-21, მთებში 9-14 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 9-14, მთებში 2-7 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 12-14 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
Დ. ᲛᲮᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

17 აპრილი

09.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ქართული ენა, 18.00 — „ეროვნული ეკონომიკა“ — ფერადი, 18.05 — ბავშვებისათვის — ძოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „პირველი და მეორე“ და „საკვირველი კატა“, 18.40 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი“ — ფერადი. 19.10 — „ვეუნტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა — ფერადი, 19.30 — „საბჭოთა სახანძრო დაცვის 60 წელი“. 19.45 — „ულრავს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი რუსუდან გვასალია“. (მოსკოვიდან), 20.05 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური“ (მოსკოვიდან), 20.45 — კინოჟურნალი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა — ფერადი, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო მატჩი კრივში. კუბისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუდღები — გადაცემა ჰავანადან.

18 აპრილი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ქართული ენა, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — შვეიცარიული ენა, 18.10 — გაცხადებები, 18.15 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 18.30 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 23, 18.40 — „ეროვნული ეკონომიკა“ — ეროვნული ეკონომიკის გაძარჯვება, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა — ფერადი, 21.30 — „ეროვნული ეკონომიკა“ — ეროვნული ეკონომიკის გაძარჯვება, 22.00 — „ეროვნული ეკონომიკა“ — ეროვნული ეკონომიკის გაძარჯვება, 22.35 — „ბატალიონი და ოინაფლოვეობა“ — ფერადი.

21 აპრილი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა. (მოსკოვიდან), 09.30 — დოკუმენტური ფილმი, 16.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ქიმია, 17.25 — შვეიცარიული ფრანგული ენა, 17.55 — „ახალი კრება და კონცერტი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავისადმი. გადაცემა მოსკოვიდან, და თბილისიდან, ძველებენი დროს — „მოამბე“ — „საინფორმაციო პროგრამა“. — ფერადი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა. (მოსკოვიდან), 22.35 — მხატვრული ფილმი „ნდობა“. ფერადი.

22 აპრილი

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ.

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი (ოუსერვი), 10.00 — დოკუმეტური ფილმი, 10.10 — „ფიცი სამშობლოს“. კანტატა (მოსკოვიდან), 10.35 — „თვეთოთვის, მშობლებო!“ — „ულიანოვების ოჯახი“ — გადაცემა I (მოსკოვიდან), 11.05 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (მოსკოვიდან), 11.35 — „საბჭოთა სახვითი ხელოვნება“ — ლენინიანა (მოსკოვიდან), 12.00 — „სპორტული მიმოხილვა“, 19.05 — „ქორეოგრაფიული ძინატურები“ — ფერადი, 19.45 — „ავეთ „პრავდის“ პოლიტიკური ძიმომხილველის ი. ჟუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მოსკოვიდან), 20.30 — კიხონარკვევი, 20.45 — „საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა — ფერადი, 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — კომედიური ფილეების ტელეფეფუტივალი — „სიცილი ეკრანზე“, ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“.

19 აპრილი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალმასის ძრიის ძიღა“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმაოელად—მათემატიკა, 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კარაჩინგილი“, 17.55 — გახცხადებები, 18.00 — შვეიცარიული ენა, 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — ოოსწავლეთათვის — კოხცერტი, 19.20 — „საერთაშორისო დღიური“, 19.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შეხვედრა კოკმლში“, 19.50 — „ფიზაი — ეუსრიგი, დისციპლინა!“ 20.30 — „საეტრადო პახორამა“, 21.00 — „ფიმამე“ — საინფორმაციო პროგრამა — ფერადი, 21.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.00 — „ეკონომიკა“ — ეროვნული ეკონომიკის გაძარჯვება, 22.35 — „ბატალიონი და ოინაფლოვეობა“ — ფერადი.

23 აპრილი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კიხონარკვევი, 09.50 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო შემეცხებითი ჟურნალი „კინომოზაიკა“, 10.30 — „მაღვიძარა“. (მოსკოვიდან), 11.00 — „შვეიცარიული რუსული ენა, 11.30 — მუსიკალური შეხვედება, 11.35 — ტელეკურსულეთათვის — ქართული ენა, 12.05 — მოსწავლეთათვის „ხატურნინ“ გამეორებთ ფერადი, 13.30 — „კიხოოფიშა“, 14.00 — „ნორჩ წიგნის მოყვარულთა კლუბი“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ეიაზე), 15.20 — „საჭადრაკო სკოლა“, 15.40 — „ჯახმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.10 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.15 — „ხუთწლეული — წელი მესამე“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.00 — „საერთაშორისო პახორამა“ (მოსკოვიდან), 18.30 — „ცირკის არენაზე“ — უნგრეთი (მოსკოვიდან), 19.00 — „ეკრანი ბრალს სდებს“, 19.30 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.00 — თეატრალური ფოსტა“, 21.00 — „ფიმამე“ — საინფორმაციო პროგრამა — ფერადი, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — კომედიური ფილმების ტელეფეფუტივალი „სიცილი ეკრანზე“ — „ოპერაცია „ი“ ანუ შურიკის ახალი თავგადასავალი“. ფერადი.

ᲨᲣᲐᲦᲠᲘᲡ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

— „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ“ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲠᲝᲡ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲙᲔᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ

ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ მოსახლეობას, რომ ქარხანაში დაინერ